

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
Batumi Art State Teaching University

**სტუდენტთა საერთაშორისო  
კონფერენცია**

27 აპრილი

**პროგრამა**

**Students International Conference**

27 April

**Program**

## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

ერმილე მესხია	რექტორი, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი
გელა ბერიძე	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
მაია ჭიჭილეიშვილი	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
სოფიო თავაძე	სამეცნიერო და საგამომცემლო პროექტების მართვის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი
ბენეფშე თემიზკანი	საერთაშორისო პროექტების მართვის კოორდინატორი
სალომე ჩიკაშუა	პროექტების მართვის განყოფილების სპეციალისტი
ნატო ცქვიტინიძე	სტუდენტთა მომსახურების განყოფილების უფროსი

## კონფერენციის სამუშაო განრიგი

27 აპრილი

- 10.00-10.15 – მონაწილეთა რეგისტრაცია
- 10.15-10.30 – კონფერენციის გახსნა. პლენარული სხდომა
- 10.30-12.00 – სესია I
- 12.00-12.30 – Coffee break
- 12.30-14.00 – სესია II
- 14.00-14.15 – კონფერენციის შეჯამება და დახურვა
- 14.15-15.00 – ლანჩი

### პლენარული სხდომა

10.15 – *კონფერენციის გახსნა*

ერმილე მესხია რექტორი, პროფესორი

#### *მისალმებები*

- |                   |   |
|-------------------|---|
| ლაშა ჩავლეიშვილი  | აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი            |
| ია შალამბერიძე    | ბათუმის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი                  |
| მაია ჭიჭილეიშვილი | განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი |

#### რეგლამენტი:

- მომხსენებელთათვის - 10 წთ.
- კამათში მონაწილეებისათვის - 5 წთ.

## სექცია: ხელოვნებათმცოდნეობა

10.30-12.00 - სესია I

მოდერატორი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი

- 1. ნინო ჩხიკვაძე – სოფელ ახალშენის „ფერისცვალების“ ეკლესია.**  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (ხელოვნებათმცოდნეობა). II კურსი.  
ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.
- 2. ონურ სარიქაია – ქართულ-ისლამური არქიტექტურა ბათუმში.**  
მიმარ სინანის ნატიფი ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია“. IV კურსი.  
ხელმძღვანელი: სელჯუქ სეჯქინი, ასოცირებული პროფესორი.
- 3. მანე აბრამიანი – თბილისის სურბ გევორგის ეკლესიის ფრესკები.**  
ერევნის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (ხელოვნებათმცოდნეობა). II კურსი.  
ხელმძღვანელი: ზარა მალიოანი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

12.30-14.00 - სესია II

მოდერატორი: რატი ჩიბურდანიძე, ასოცირებული პროფესორი

- 1. ლილიტ ტადევოსიანი – პეგი გუგენჰაიმის კოლექცია ვენეციაში.**  
ერევნის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. საბაკალავრო პროგრამა „ფერწერა“. IV კურსი.  
ხელმძღვანელი: ელენა აიდინიანი, უფროსი მასწავლებელი.
- 2. ლუსინე ამბარცუმიანი – „იატაკქემა“ აბსტრაქციონიზმი.**  
ერევნის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (ხელოვნებათმცოდნეობა). IV კურსი.  
ხელმძღვანელი: ელენა აიდინიანი, უფროსი მასწავლებელი.
- 3. გიორგი ჭანიძე – ანტი-ხელოვნება და ხელოვნების თეორია.**  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (ხელოვნებათმცოდნეობა). III კურსი.  
ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.

## სექცია: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა

10.30-12.00 - სესია I

მოდერატორი: თეიმურაზ კეჭერაძე, ასოცირებული პროფესორი

1. მირიან ორაგველიძე, გიორგი გუჯაბიძე – ნიკოლოზ ბარათაშვილიდან სანდრო ახმეტელამდე.  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“. I კურსი.  
ხელმძღვანელი: თეიმურაზ კეჭერაძე, ასოცირებული პროფესორი.
2. სოფიო ხმაღაძე – კულტურათაშორისი კომუნიკაციის ენობრივი თავისებურებები თეატრალურ სფეროში.  
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „ინგლისური ენა და ლიტერატურა“. I კურსი.  
ხელმძღვანელი: მედეა მეტრეველი, ასოცირებული პროფესორი.
3. აიგანიმ ბაიგონისი – თურქული მხატვრული სახეები ყაზახურ ანიმაციაში.  
ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „რეჟისურა“. IV კურსი.  
ხელმძღვანელი: გულნარ ალპეისოვა, პროფესორი.
4. მზია გოგიტიძე – კინოინდუსტრიის სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები.  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი“. IV კურსი.  
ხელმძღვანელი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი.

12.30-14.00 - სესია II

მოდერატორი: ხათუნა მანაგაძე, პროფესორი

1. ინგა აფაქიძე – ისტორიული ფილმების კინომხატვრობის ზოგიერთი ასპექტი.  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (ხელოვნებათმცოდნეობა). IV კურსი.  
ხელმძღვანელი: ინგა ხალვაში, ასოცირებული პროფესორი.

2. ნინო გრძელიძე – ულრიჰ ზაიდლის „იმპორტ/ექსპორტი“ ანუ თანამედროვე დასავლეთის ხიზლი.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.  
საბაკალავრო პროგრამა „კინომცოდნეობა“. III კურსი.

ხელმძღვანელი: ირინა დემეტრაძე, ასოცირებული პროფესორი.

3. ზაირა ბოკუჩავა, გვანცა თარხნიშვილი – საოპერო ხელოვნების სათავეებთან.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა“. III კურსი.

ხელმძღვანელი: ხათუნა მანაგაძე, პროფესორი.

4. მანანა გაბარაშვილი – ჯაზის სტილური ნიშნების ასახვა ფუგაში.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. სამაგისტრო პროგრამა „მუსიკათმცოდნეობა“. II კურსი.

ხელმძღვანელი: ლეილა მარუაშვილი, ასოცირებული პროფესორი.

## სექცია: კულტურა, მედია

10.30-12.00 - სესია I

მოდერატორი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი

1. თეონა ქურიძე – ელიტური კულტურის პოლიტიკის უპირატესობა საქართველოსთვის.  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი“. III კურსი.  
ხელმძღვანელი: ნინო სანადირაძე, პროფესორი.
2. ია ნაკაშიძე – კულტურული ტურიზმის რესურსები ზემო აჭარაში.  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი“. IV კურსი.  
ხელმძღვანელი: ერმილე მესხია, პროფესორი.
3. ხათუნა ძნელაძე – კულტურული ტურიზმის რესურსები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი“. III კურსი.

ხელმძღვანელი: ერმილე მესხია, პროფესორი.

**4. ქეთევან ცეცხლაძე – დემოკრატია და ქართული კულტურა.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“. I კურსი.

ხელმძღვანელი: გიორგი მასალკინი, ასოცირებული პროფესორი.

**12.30-14.00 - სესია II**

**მოდერატორი: მამუკა ჯორბენაძე, ასოცირებული პროფესორი**

**1. მარიამ ყურაშვილი – რენესანსული ჰუმანიზმი.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი“. III კურსი.

ხელმძღვანელი: გიორგი მასალკინი, ასოცირებული პროფესორი.

**2. მერი კაზარიანი – სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი და XIX საუკუნის მიწურულის თბილისი: კულტურათაშორისი ურთიერთობები.**

ერევნის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (ხელოვნებათმცოდნეობა). IV კურსი.

ხელმძღვანელი: ვიგენ კაზარიანი, პროფესორი.

**3. თეიმურაზ ბეჟანიძე, თორნიკე შევარდნაძე – სოციალური ტელერეკლამა, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობი საქართველოში**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება“. III კურსი.

ხელმძღვანელები: ნინო ჭალაგანიძე, ასოცირებული პროფესორი; მანანა შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი.

**4. ლევან ურიდია – „ჟურნალისტური თვალთახედვით“ - გაბრიელ გარსია მარკესი.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ (ტელერადიოჟურნალისტიკა). III კურსი.

ხელმძღვანელი: მამუკა ჯორბენაძე, ასოცირებული პროფესორი.

თეზისები

# ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო ჩხიკვაძე

## სოფელ ახალშენის „ფერისცვალების“ ეკლესია

საქართველოში მულტიკულტურული ურთიერთობების ამსახველი არაერთი ძეგლი შემოგვრჩა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აჭარის შავიზღვისპირეთში პონტოელი ბერძნები ჩამოსახლდნენ, რომლებმაც ბათუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე თავიანთი „კულტურული სივრცე“ შექმნეს. ბერძენ მოახალშენეთა სახელს უკავშირდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, სოფელ ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის აგება, რომლის არქიტექტურული გადაწყვეტა მსგავსებას ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძართან იჩენს. ნეო-ბერძნულ ტრადიციებს წარმოაჩენს მაღალი, ხალვათი, ნათელი შიდა სივრცე, შვერილი აფსიდები და სხვა დეტალები. დღეს ეკლესია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მფლობელობაშია.

ონურ სარიქაია

## ქართულ-ისლამური არქიტექტურა ბათუმში

ქართველი და თურქი ერების ურთიერთობა საუკუნეთა განმავლობაში არაერთგვაროვანი გახლდათ: ხან კეთილმეზობლური, სავაჭრო თუ პოლიტიკური თანამშრომლობა აკავშირებდათ, ხანაც საომარ ვითარებაში იყვნენ. ამგვარი ურთიერთობები ორივე ერზე აისახა. განსაკუთრებით, აჭარის რეგიონის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქ ბათუმში მრავლადაა ოსმალური პერიოდის შენობა-ნაგებობები. ბევრმა მათგანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ქალაქის დინამიკა ძირითადად სამმა მეჩეთმა განსაზღვრა. მათგან ერთ-ერთია აზიზიეს მეჩეთი.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში, სულთან აბდულ-აზიზის ტახტზე ყოფნისას, ბათუმში სხვადასხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა. შედეგად, დასახლებამ ქალაქის იერ-სახე მიიღო. სულთნის ბრძანებით, დააშრეს ნავსადგურთან მდებარე ჭაობიანი ადგილები, მეჩეთის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა აზიზიეს უბანი. აშენდა ნავსადგური, საბაჟო, კარანტინის შენობა, პოლიციის განყოფილება, ციხე და ყაზარმა. ქალაქის ცენტრამდე მოყვანილ იქნა სასმელი წყალი. იმავე ტერიტორიაზე, ტრაპიზონის გუბერნატორმა ემინ მუხლის ფაშამ სულთნის სახელზე აზიზიეს მეჩეთი ააშენებინა. აგრეთვე, გაიხსნა ორი

მექთები და მედრესე. ამავე პერიოდში, ბათუმში ჩამოსახლებული ბერძნებისათვის აშენდა ეკლესია, რომელიც 1930 წელს იქნა დანგრეული.

ქალაქის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობა მუფტიეს მეჩეთი გახლდათ, თუმცა მას ჩვენამდე არ მოუღწევია. მეჩეთი მუფტიეს უბანში, გოგებაშვილის, კანდელაკისა და წერეთლის ქუჩების კვეთაზე მდებარეობდა. დღესდღეობით ბათუმში ორთა ჯამე მოქმედებს. იგი სამუფტოს სამმართველოს ეზოში მდებარეობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოხსენებაში საუბარია ოსმალური პერიოდიდან შემორჩენილ სხვადასხვა ტიპის ნაგებობებისა და ზოგადად, ბათუმის იმდროინდელი დაგეგმარების შესახებ.

**მანე აბრამიანი**

### **თბილისის სურბ გევორგის ეკლესიის ფრესკები**

2015 წლის ოქტომბერში თბილისში გაიხსნა განახლებული სურბ გევორგის ეკლესია. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სომხური დიასპორისათვის, ვინაიდან ეს არის სომხური სამოციქულო ეკლესიის საკათედრო ტაძარი საქართველოში.

მოხსენებაში წარმოდგენილია ახალი და საინტერესო ფაქტები ეკლესიის შესახებ, საუბარია ფრესკების აღდგენის პროცესზე, გაანალიზებულია ჩატარებული სამუშაოების შედეგები. ეკლესიაში 1090 კვ. მ-ზე მეტი მოხატულობის ფრაგმენტია აღდგენილი. როგორც რესტავრაციის დასრულების შემდეგ გაირკვა, ეკლესიის კედლები მთლიანად იყო შემკული ფრესკებით. ტაძრის მომხატველთა შორის მოხსენიებული არიან სომხური ფერწერის თვალსაჩინო წარმომადგენლები – გ. ბაშინჯაგიანი და ოვნათანიანთა დინასტიის ოსტატები. მოხსენებაში განხილულია ტაძრის რეკონსტრუქციისა და ფრესკების შენარჩუნების საკითხები.

**ლილიტ ტადევოსიანი**

### **პეგი გუგენჰაიმის კოლექცია ვენეციაში**

პეგი გუგენჰაიმი ლეგენდარული პიროვნებაა, რომელიც არა მხოლოდ წინ უსწრებდა დროს, არამედ განსაზღვრავდა კიდევ მას. იგი გახლდათ ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი. პეგი გუგენჰაიმს დიდი წვლილი მიუძღვის თანამედროვე ხელოვნების

განვითარებაში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ცნობილ მხატვრებთან, როგორებიც იყვნენ: მაქს ერნსტი, ჯექსონ პოლოკი, ალექსანდრე კალდერი, მარსელ დიუმანი და მრავალი სხვა. ვენეციაში მდებარეობს პეგი გუგენჰაიმის მუზეუმი, სადაც თავმოყრილია უამრავი შედევი.

**ლუსინე ამბარცუმანი**

### **„იატაკვემა“ აბსტრაქციონიზმი**

ნაშრომი ეხება XX საუკუნის 60-70-იანი წლებში მოღვაწე სომეხი მხატვრების აბსტრაქტულ ხელოვნებას. საბჭოთა პერიოდში აბსტრაქტული ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ გაცდა სახელოსნოთა კედლებს. მოხსენებაში საუბარია სომხეთში თანამედროვე ხელოვნების ჩასახვის ისტორიაზე, ხელოვნების ე.წ. „იატაკვემა“ მხარეზე, რაც საბჭოთა ეპოქაში წარმოადგენდა მხატვართა „პარტიზანულ“ ბრძოლას ხელოვნების ოფიციალური ფორმების წინააღმდეგ.

**გიორგი ჭანიძე**

### **ანტი-ხელოვნება და ხელოვნების თეორია**

იმდენად რამდენადაც სამყარო მრავალპოლუსიანი და პოლისემანტიკური გახდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს „დაბალ“ და „მაღალ“ ხელოვნებასთან. ძველი მეთოდოლოგია უძლური და დრომოჭმულია თანამედროვე გააზრებებისა თუ მსოფლმხედველობასთან (ვერ)თანხვედრის თვალსაზრისით, რადგან დაკარგა ხიბლი და ლეგიტიმაცია.

ტრადიციულ ესთეტიკაზე დაფუძნებული კრიტიკის დაშვება დამღუპველ როლს თამაშობს ახალი ტენდენციების გამოჩენის პირისპირ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილოსოფიას საგულისხმო როლი აქვს თანამედროვე ხელოვნებაში. სხვადასხვა თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობები ერთი შეხედვით დაუპირისპირდნენ ხელოვნების გაგებას ესთეტიკური თეორიის ტრადიციულ ცენტრში. განმანათლებლობისა და რომანტიზმის კრიტიკული აზროვნებიდან წარმოქმნილმა ამ ტრადიციამ განსაზღვრა ხელოვნების რაობა მხატვრული ობიექტის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში, ანტი-ხელოვნების მიმდინარეობებმა – რედიმედიტით, პოპის მიერ მითვისებული ბანალური გამოსახულებებითა და უმნიშვნელო

ფორმებით, ამასთანავე მინიმალისტებისა და კონცეპტუალისტების მიერ არტ ობიექტის თითქმის გაქრობით, ზოგიერთმა არტისტმა ესთეტიკა ჩათვალა არა მხოლოდ არაგულისხმიერად ავანგარდის ჭიდილში, არამედ ხელოვნების, როგორც ასეთის ბუნებისადმი არარელევანტურად.

ანტი-ხელოვნების სცენაზე გამოჩენით საქმე გვაქვს არა მხოლოდ არტსამყაროსთან და ინსტიტუციონალურ თეორიასთან, არამედ უკვე მნიშვნელობს ინტერდისციპლინარული მიდგომა და ინტერპრეტაცია იძენს კონსტიტუტიურ ხასიათს, რაც დამყარებულია თავად ინდერდისციპლინარულ ცოდნაზე (განათლებაზე), ხელოვნების ბუნების კვლევაზე და სამყაროზე, როგორც მსოფლმხედველობრივი სისტემის კონტექსტზე. აქედან გამომდინარე, კლემენტ გრინბერგის ფორმალისტურ-ესენციალისტური კრიტიციზმი კარგავს თავის როლსა და ფუნქციას. ამასთანავე, აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მოდერნიზმი და ავანგარდი – პირველი როგორც ესთეტიკური სფეროს რადიკალიზაცია და მეორე როგორც ესთეტიკური სფეროს დანგრევა. სწორედ ანტი-ხელოვნებითაა განპირობებული ანტი-ესთეტიკური პოსტ-მოდერნიზმი, ლოგოსის დესტრუქცია, სულის აბსოლუტური მინიმალიზაცია, მასტერ ნარატივის გაქრობა და პოსტ-ისტორიული ერა.

## **თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა**

**მირიან ორაგველიძე**

**გიორგი გუჯაბიძე**

**ნიკოლოზ ბარათაშვილიდან სანდრო ახმეტელამდე**

რომანტიზმი, როგორც მსოფლმხედველობა, შემოქმედებითი მეთოდი, მიმართულება ხელოვნებაში, ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპაში, რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების პერიოდში. განათლების იდეალებში იმედგაცრუებულ ევროპაში დროშად იქცა პიროვნების, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა.

როდესაც რომანტიზმი ევროპული ხელოვნების ძირითად მიმართულებად დამკვიდრდა, ქართული თეატრი ჯერ კიდევ არ იყო განახლებული. თეატრმა ეს გზა მოგვიანებით გაიარა. რაც შეეხება ქართულ რომანტიკულ ლიტერატურას, განსაკუთრებით ქართულ პოეზიას, მან მსოფლიო ცივილიზაციას არაერთი მნიშვნელოვანი ქმნილება შესძინა.

ქართულ თეატრში გმირული სასცენო რომანტიზმის ფუძემდებელი სანდრო

ახმეტელი ქართულ რომანტიკულ ლიტერატურაში, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანში“ ხედავდა მებრძოლ გმირს. მისი აზრით, სწორედ ბარათაშვილთან არის საძიებელი რომანტიკული თეატრის საწყისები. ახმეტელმა პირველმა შენიშნა ბარათაშვილის შემოქმედებაში თეატრალური სამყარო, იგრძნო მანამდე შეუცნობელი და ამოუკითხავი „თეატრალური სინამდვილე“. „მერანში“ განსხეულდა ერის თვითგანახლებისათვის ბრძოლის იდეა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა უმძიმესი ბრძოლა გადაიხადა ერის სულიერი განახლებისათვის. ამ ბრძოლაში კი იგი, სანდრო ახმეტელის რწმენით, მეთაურის როლს ანიჭებდა თეატრს.

სოფიო ხმაღამე

### კულტურათაშორისი კომუნიკაციის ენობრივი თავისებურებები თეატრალურ სფეროში

მოხსენება ეხება კულტურათაშორისი კომუნიკაციის თავისებურებების ანალიზს თეატრალური ლექსიკის სფეროში. კვლევის შედეგად გამოვლენილია თეატრალური ტერმინოსისტემის ძირითადი ტიპები და მოცემულია მათი დახასიათება. მოხსენებაში გაკეთებულია რუსული, ინგლისური და ქართული თეატრალური ლექსიკის შედარებითი ანალიზი; განხილულია კულტურათაშორისი ურთიერთობებისა და თარგმნის სირთულეები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა თეატრალური ტერმინების შემდეგი ჯგუფები:

ა) ერთსიტყვიანი ტერმინები: ინგლისური ენა - claque, gang, event, duo, droll, cast, audition; რუსული ენა - клака, прогон, варьете, раек, моралите, партер и др.;

ბ) რთულსიტყვიანი ტერმინები - английский язык - cloakroom, melodramatist, tightrope, footlights, backscreen, showbill; русский язык - канатоходец, капельмейстер, мизансценировка, театровед и др.;

გ) შედგენილსიტყვიანი ტერმინები: английский язык - feed-line, wig-maker, picture-theatre, gala-night, ante-room, back-chat; русский язык - прима-балерина, негрменестрель, мюзик-холл, комната-эхо, аванложа;

დ) ტერმინი-აბრევიატურები - английский язык - MC (Master of Ceremonies), SRO (Standing Room Only), SM (Stage Manager), RADA (The Royal Academy of Dramatic Art); русский язык - БДТ (Большой драматический театр), МХАТ (Московский художественный академический театр), ТЮЗ (Театр юного зрителя), ВГИК (Всероссийский государственный институт киноискусства).

## თურქული მხატვრული სახეები ყაზახურ ანიმაციაში

ხელოვნების ნებისმიერ დარგში თურქული მხატვრული სახეების გამოყენება განპირობებულია ეროვნული ცნობიერების გააქტიურებით თანამედროვე ეპოქაში. ხელოვნებაში თურქული მხატვრული სახეები შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ ფოლკლორული, არამედ საავტორო ნაწარმოებების, მათ შორის – ანიმაციური კინოს წყაროს. თურქული მხატვრული სახეები ყაზახურ ანიმაციაში თითქმის ინარჩუნებენ თავიანთ საწყისებს. თუმცა, კონკრეტული სიუჟეტის, ასევე – ანიმაციური ფილმის პრინციპების კონტექსტში, ისინი იძენენ ახალ თვისებებს, რომლებიც გვეხმარებიან ნაწარმოების სიღრმისეული მნიშვნელობის გააზრებაში.

## მზია გოგიტიძე

### კინონდუსტრიის სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები

კინონდუსტრიის განვითარების ეკონომიკურ საფუძვლებს ქმნის ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები, სახელმწიფო დაფინანსების მოდელები, ფედერალური თუ რეგიონული კინოპროგრამები, საგადასახადო სისტემა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ამ კომპონენტების ერთობლიობა წარმოადგენს კინონდუსტრიის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ყველა ქვეყანაში განსხვავებულია.

მოხსენებაში განხილულია კინონდუსტრიის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა ევროპული ქვეყნების, აშშ-სა და საქართველოს მაგალითზე.

კინონდუსტრიის მხარდაჭერის განსხვავებული მოდელების ანალიზი და ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობაზე და ეროვნულ კინოში უცხოელი მწარმოებლების მოზიდვის პერსპექტივაზე.

## ინგა აფაქიძე

### ისტორიული ფილმების კინომხატვრობის ზოგიერთი ასპექტი

მხატვარი, კინორეჟისორთან ერთად, მხატვრული ფილმის ერთ-ერთი ავტორია. იგი ქმნის ფილმისათვის აუცილებელ პლასტიკას, გამომსახველობას, ფაქტურას. მისი

ოსტატობის გამოვლინებაა ფილმის განათება და კადრის კომპოზიცია. თეატრისაგან განსხვავებით, სადაც პირობითობაა დასაშვები, კინოს სახვითი გადაწყვეტა ზედმიწევნით დაცულ სიზუსტეს მოითხოვს.

ისტორიულ ფილმებში განვიხილავთ ფილმებს, რომელიც ეხება არა მხოლოდ კონკრეტულ ისტორიულ პერსონაჟებსა თუ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს, არამედ იმ ფილმებსაც, რომლებშიც მიმდინარე მოვლენები განიხილება ისტორიულ ჭრილში.

ისტორიული ფილმის სახვითი გადაწყვეტისას, როგორც წესი, მიმართავენ კონკრეტული ეპოქის მხატვრობას, არქიტექტურას, ქანდაკებას. კინომხატვარი რეჟისორთან შეთანხმებით ისტორიული ჟანრის ფილმებისათვის დამახასიათებელ გარემოს და ატმოსფეროს ქმნის. დეკორაცია, ფერი, კოსტიუმი, გრიმი – ეპოქის და სტილის ზედმიწევნად ცოდნას მოითხოვს, რომელსაც მხატვარი რეჟისორის კონცეფციას უთანხმებს.

ნინო გრძელიძე

### **ულრიკ ზაიდლის „იმპორტ/ექსპორტი“ ანუ თანამედროვე დასავლეთის ხიბლი**

„იმპორტ-ექსპორტი“ – ფილმი, რომელიც შემადრწუნებელი ავთენტურობით აგვიღწერს ორი ადამიანის თვითგადარჩენისთვის ბრძოლას. ულრიკ ზაიდლი მისთვის დამახასიათებელი გროტესკული ფორმით გვიჩვენებს პარალელურად ორი ადამიანის ცხოვრებას. ეს არის ამბავი ორი უბედური სულისა, რომლებსაც უწევთ რეალიზება ცივ, დაუნდობელ პრაგმატულ გლობალურ სამყაროში, რასაც თანამედროვე ადამიანი თავს ვერ აარიდებ, ეს არის სწორედ გლობალიზაცია და ამ უსიცოცხლო ჯაჭვში წარმატებისთვის საჭიროა ფული, მხოლოდ ფული და მეტი არაფერი.

პოლი, ავსტრიელი ბიჭი, სამსახურის დაკარგვის შემდეგ მიდის უკრაინაში თავის ალკოჰოლიკ და რასისტ მამინაცვალთან ერთად, რომელიც თავისი იდეებით და ქცევით მაგონებს დამპყრობელების სცენას ელემ კლიმოვის ფილმიდან „მოდი და ნახე“. სცენა, სადაც მამინაცვალი ფულს უხდის მეძავს. მას მხოლოდ მეძავის დამცირება ანიჭებს სიამოვნებას. ესაა ძალმომრეობის დესტრუქციული ფორმა.

უახლესი ავსტრიული კინოს ყველაზე ცნობილი და სკანდალური რეჟისორი ულრიკ ზაიდლი სწორედ ამ დესტრუქციული ვნებების მკვლევარია. მისი გმირები და მხატვრული სამყარო პაზოლინის სკანდალურ ფილმებს მოგვაგონებს.

### საოპერო ხელოვნების სათავეებთან

XVI საუკუნე ევროპული კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი ხანაა. ამ პერიოდის მუსიკალური კულტურის უდიდესი მონაპოვარია საოპერო ჟანრის ჩამოყალიბება და განვითარება.

ოპერის სამშობლოდ ითვლება იტალია და იტალიური კულტურის მოწინავე ცენტრი – ფლორენცია, რომელიც საოპერო ხელოვნების პირველ კერად იქცა.

პირველი ოპერა „დაფნა“, რომლის მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ი. პერის, დაიდგა ფლორენციაში 1594 წელს. ეს წელი ითვლება ოპერის შექმნის ისტორიულ თარიღად. ამ ოპერის პარტიტურა არ არსებობს. ი. პერის მეორე ოპერაა „ევრიდიკა“, რომელიც 1600 წელს დაიდგა. პარტიტურამ ჩვენამდე მოაღწია. ოპერას საფუძვლად დაედო ანტიკური ხანის მითი ლეგენდარული მომდერლის ორფეოსის შესახებ.

მოხსენებაში განხილულია საოპერო ხელოვნების დაარსების ადრეულ ეტაპი, ოპერის, როგორც სინთეზური ჟანრის ჩამოყალიბების პროცესში არსებული მუსიკოლოგიური გარემო, პირველი ოპერის შექმნის წინაპირობები, ამ ოპერების დრამატურგიული თავისებურებები.

მანანა გაბარაშვილი

### ჯაზის სტილური ნიშნების ასახვა ფუგაში

მოხსენების საკვლევი ობიექტია ლეონარდ ბერნსტაინის პრელუდია, ფუგა და რიფი და ფრიდრიხ გულდას პრელუდია და ფუგა. ამ ნაწარმოებებში კომპოზიტორთა მიერ ოსტატურადაა შერწყმული ჯაზის და ფუგის ჟანრის მახასიათებლები. მოხსენების მიზანია ხსენებულ ნაწარმოებებში ჯაზის თავისებურებების დადგენა.

ლ. ბერნსტაინმა აირჩია ჯაზისთვის დამახასიათებელი ინსტრუმენტარი. ფუგა იწყება არანორმატიულად. ბანში, ბარიტონ საქსაფონის პარტიაში მოცემულია 2 ტაქტიანი რიტმული ფიგურა. ამ ფორმულის დანიშნულება შემსრულებელისთვის ტემპის ჩვენებაა. გამოყენებულია დუბლირების ხერხი, რომლის ფუნქცია ბიტის-რიტმოს სექციის მსგავსია, ისევე როგორც ჯაზურ კომპოზიციებში.

ფ. გულდას პრელუდია და ფუგა გაჟღერებულია ჯაზური მუსიკისთვის დამახასიათებელი ჰარმონიებით. კომპოზიციის დასასრულს მითითებულია, რომ უნდა შესრულდეს კადენცია. რადგან ფუგის მუსიკალური ენა ამოზრდილია ჯაზიდან, გასაგები ხდება კომპოზიტორის ამოცანა. გულდა პიანისტს საშუალებას აძლევს, გამოავლინოს დარჩენილი ნაწილის იპროვიზირების უნარი, მისი საკომპოზიტორო ოსტატობა, გემოვნება და ჩანაფიქრი.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ამ ნაწარმოებების ჟანრული სახე რთულ და საინტერესო სიმბიოზს წარმოადგენს, სადაც ფუგა სერიოზული ხელოვნების გამოხატვის საშუალებაა, მაგრამ ჯაზი რჩება შთაგონების მთავარ წყაროდ.

## კულტურა, მედია

თეონა ქურიძე

### ელიტური კულტურის პოლიტიკის უპირატესობა საქართველოსთვის

„კულტურის პოლიტიკა“ როგორც ტერმინი, პირველად გაერთიანებული ერების განათლებისა და კულტურის ორგანიზაციამ (იუნესკო) გამოიყენა 1967 წელს მონაკოში, მოხსენებაში „პოლიტიკა კულტურის სფეროში“. კულტურის პოლიტიკა როგორც ცნება, მე-18 საუკუნის ბოლოს ევროპაში გაჩნდა და გულისხმობდა სახელმწიფო კულტურის დაგეგმვისა და მართვის ერთ-ერთ მეთოდს. თავდაპირველად, კულტურის პოლიტიკაში სახელმწიფო გვევლინება მთავარ მამოძრავებელ ძალად, თუმცა დროთა განმავლობაში შეიცვალა როგორც ძალაუფლების, ისე მართვის სტილი და განხორციელების ფორმები. ასევე, გაჩნდა ახალი გზები კულტურის ინვესტირებისათვის.

კულტურის პოლიტიკა ქმნის მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება კულტურის სფეროში დასახული მიზნების განხორციელება.

მოხსენებაში საუბარია კულტურის პოლიტიკის მნიშვნელობაზე, მის სახეებზე და კონკრეტულად საქართველოსათვის უპირატეს კულტურის პოლიტიკის მოდელზე.

### კულტურული ტურიზმის რესურსები ზემო აჭარაში

ტურიზმის ინდუსტრიაში კულტურულ ტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სპეციალისტების შეფასებით, ტურების 60% კულტურულ ტურებზე მოდის.

საქართველოს მდიდარია კულტურული რესურსებით. ქვეყნის ყველა მხარეში არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ წლის ნებისმიერ დროს განხორციელდეს ტურები. ამ მხრივ, კარგი შესაძლებლობები გააჩნია ზემო აჭარას.

შუახვევისა და ხულოს მთის რელიეფი, ტყის მასივები, ჰიდრორესურსები, კურორტები, სათხილამურო ტრასები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ბუნების დაცული ტერიტორიები, მუზეუმები, ფოლკლორული ანსამბლები, სამზარეულო და ა.შ., კარგ შესაძლებლობას იძლევა ტურიზმის სხვადასხვა სახეობის, განსაკუთრებით კი კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმის რესურსების აღწერას. მართალია, ბეჭდვით გამოცემებში ტურიზმის რესურსები სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მხარეებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით ტურიზმის რესურსების აღწერა და ანალიზი არ გაგვაჩნია.

### ხათუნა ძნელაძე

### კულტურული ტურიზმის რესურსები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

საქართველო, თავისი განუმეორებელი ბუნებით, მდიდარი ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლებით, ფოლკლორითა და სამზარეულოს ტრადიციებით ოდითგანვე წარმოადგენდა უცხოელი ვიზიტორების დაინტერესების ობიექტს. ტურისტთა ნაკადის ზრდა ახალ პერსპექტივას უქმნის ქვეყანას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. საქართველოში ტურიზმის თითქმის ყველა სახეობის განხორციელების შესაძლებლობა არსებობს.

ამ მხრივ, გამორჩეულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – გეოგრაფიული მდებარეობით, უიშვიათესი ბუნებითა და კულტურის ძეგლებით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ რესურსებზე მდიდარი ინფორმაცია არსებობს, მაგრამ კულტურული ტურიზმის რესურსების სახით მისი აღწერა ამ დრომდე არ განხორციელებულა. მართალია, სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ტურისტულ ცნობარებში

ვხვდებით რესურსების აღწერას, მაგრამ ერთი გამოცემის სახით რომელიმე მხარის ან მუნიციპალიტეტის ყოველმხრივი ინფორმაცია – დაწყებული ძეგლებითა და სასტუმრო ქსელით, – არ გაგვაჩნია. გამონაკლისს წარმოადგენს ინტერნეტრესურსები. თუმცა, აქ განთავსებული ინფორმაციაც არ არის უნაკლო და სრულყოფილი.

**ქეთევან ცეცხლაძე**

### **დემოკრატია და ქართული კულტურა**

მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული კულტურისა და მენტალობის დასავლურ დემოკრატიული ღირებულებების თავსებადობის საკითხი. რამდენად შეძლებს ქართული კულტურა, გასცეს ადეკვატური პასუხები თანამედროვე გამოწვევებს, ანუ გახდეს „თანამედროვე“ ერი. ნაშრომში გამოყენებულია თანამედროვე ავტორების კრიტიკული მოსაზრებები ქართველთა ფსიქოლოგიაზე, ბუნებაზე, ღირებულებებზე, შეხედულებებზე. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი ასაბუთებს ქართულ კულტურაში დემოკრატიული ტენდენციების არსებობას.

ქართული კულტურა და დემოკრატია თავსებადია, თუმცა ეს პროცესი არ არის მარტივი და მოითხოვს სათანადო რეფლექსიას, ზრუნვასა და შესაბამისი სააზროვნო დისკურსიის არსებობას.

**მარიამ ყურაშვილი**

### **რენესანსული ჰუმანიზმი**

რენესანსული, იგივე კლასიკური ჰუმანიზმი არის ჰუმანიზმის განვითარების პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანური ბუნების გაუმჯობესებას ანტიკური სულიერი მემკვიდრეობის აღორძინების მეშვეობით. ეს ევროპული სულიერი და ინტელექტუალური მოძრაობა წარმოიშვა XIV-XV საუკუნეებში იტალიაში, შემდგომ კი გავრცელდა ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. რენესანსული ჰუმანიზმი არის მიმდინარეობა ფილოსოფიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელმაც რელიგიურად, მისტიკურად გაგებულ ადამიანის კულტს ამქვეყნიური ადამიანის იდეალი დაუპირისპირა.

სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი და XIX საუკუნის მიწურულის თბილისი:

კულტურათაშორისი ურთიერთობები

ქართველი და სომეხი ხალხის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის. განსაკუთრებული შემოქმედებითი მოღვაწეობით გამოირჩეოდა XIX საუკუნის დასასრულის თბილისის კულტურული გარემო, რომელიც „კავკასიის პარიზად“ იყო მიჩნეული. სომხური ინტელიგენციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციამდელი პერიოდის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში და მჭიდრო კავშირი ქონდათ იმ დროის ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ამგვარი ურთიერთობის მაგალითია სომეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ოვანეს თუმანიანის მოღვაწეობა. იგი 1883 წლიდან მკვიდრდება თბილისში, მალე გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს სომხურ ლიტერატურაში და ურთიერთობას ამყარებს ქართველ ხელოვანებთან განმანათლებლობის იდეების შესახებ ინტელიგენციის გაერთიანებისა და კავკასიის ხალხთა შორის მეგობრული კავშირის შენარჩუნების მიზნით.

ნაშრომის მიზანია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში არსებული ვითარების აღდგენა და კულტურათაშორისი ურთიერთობების აღწერა, რომელიც აკავშირებდა თუმანიანს საქართველოს უდიდეს მოღვაწეებთან (ვაჟა-ფშაველა, ტიციან ტაბიძე, დავით კლდიაშვილი, აკაკი წერეთელი, იაკობ ნიკოლაძე).

თეიმურაზ ბეჟანიძე

თორნიკე შევარდნაძე

სოციალური ტელერეკლამა, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის

ხელშემწყობი საქართველოში

სოციალურ რეკლამებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება. მოხსენებაში განვიხილავთ ქართულ სატელევიზიო სივრცეში, დროის კონკრეტულ მონაკვეთში ტრანსლირებულ სოციალურ რეკლამებს, რათა დავადგინოთ, რამდენად იყო ორიენტირებული მათი შინაარსი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე.

დასახული მიზნის მისაღწევად, გამოვიყენეთ სემიოტიკური ანალიზის მეთოდი. განსახილველად შერჩეული სარეკლამო ნიმუშების გაანალიზებამ მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი წარმოაჩინა ქართული ტელემედით გადაცემული სარეკლამო პროდუქციის

სოციალური მიზანდასახულობის შესახებ. გამოიკვეთა მისი თემატური მრავალფეროვნება და სოციუმის დასარწმუნებლად გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების ეფექტურობა. ეს ყოველივე კი ემსახურება ჩვენი ჰიპოთეზის დადასტურებას, რომ ქართულ სატელევიზიო სივრცეში წარმოდგენილი სოციალური რეკლამის ნიმუშები ნამდვილად უწყობს ხელს დემოკრატიზაციის პროცესში სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებასა და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას.

ლევან ურიდია

### „ჟურნალისტური თვალთახედვით“ – გაბრიელ გარსია მარკესი

ცნობილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ჟურნალისტის – გაბრიელ გარსია მარკესის კალამს ეკუთვნის უამრავი ნაშრომი. მარკესი არა მხოლოდ ბელეტრისტი, არამედ უძლიერესი პუბლიცისტიცაა. მისი წერილები, ჩანახატები და ესეები ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. მარკესის შემოქმედებითი კარიერა სწორედ პუბლიცისტური წერილებიდან იღებს სათავეს. თავად მწერალი აღიარებს, რომ მთელი მისი შემოქმედება (იგულისხმება მხატვრული პროზა) სხვა არაფერია, თუ არა ჟურნალისტური ჟანრების ნაირსახეობა. მარკესის ჟურნალისტური მოღვაწეობა მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

მოხსენებაში საუბარია, ვინ არის მარკესი – უფრო მწერალი თუ პუბლიცისტი; როგორია მის ხელწერა და შემოქმედებითი გზა ჟურნალისტიკაში. მარკესის პუბლიცისტიკიდან შერჩეული რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითის საფუძველზე, შევეხებით გენიალური კოლუმბიელი მწერლის ჟურნალისტურ თვალთახედვებს და პუბლიცისტურ სტილისტიკას; ასევე, თუ რას ფიქრობს მარკესი ზოგადად ჟურნალისტიკაზე, ჟურნალისტის პროფესიაზე; წარმოვაჩინო მის ხედვებს – როგორ წარმოუდგენია მწერალს მედიის მომავალი.

ფართო საზოგადოებისთვის თითქმის არაფერია ცნობილი მარკესის ჟურნალისტურ შემოქმედებაზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანია ეს მხარე გავაცნოთ საზოგადოებას.

# **Student International Conference**

## **Program**

## **Conference Organising Committee**

<b>Ermile Meskhia</b>	Rector of Batumi Art State University, Professor, Chairman of Organising Committee
<b>Gela Beridze</b>	Head of Administration of Batumi Art State University
<b>Maia Chichileishvili</b>	Dean of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences of Batumi Art State University, Professor
<b>Sopio Tavadze</b>	Coordinator of Scientific and Publishing Projects Management Department of Batumi Art State University, Associate Professor
<b>Benefshe Temizkan</b>	Dr. Coordinator of Project management Department
<b>Salome Chikashua</b>	Specialist of Project management Department
<b>Nato Tskvitinidze</b>	Head of Student Service Department

## Conference Schedule

April 27

- 10.00-10.15 - Registration
- 10.15-10.30 - Conference Opening. Plenary Meeting
- 10.30-12.00 - Sessional Meeting I
- 12.00-12.30 - Coffee Break
- 12.30-14.00 - Sessional Meeting II
- 14.00-14.15 - Conference Summing up and Closing
- 14.15-15.00 - Lunch

### Plenary Meeting

10.15 - *Conference Opening*

**Ermile Meskhia**      Rector, Professor

#### *Welcome Speeches*

**Lasha Chavleishvili**      Head of the Department of Sport and Youth Affairs of Ajara A.R.

**Ia Shalamberidze**      Head of Sports and Youth department of Batum City Hall

**Maia Chichileishvili**      Dean of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences,  
Professor

#### **Time Limit**

**Presentations - 10 minutes**

**Discussions - 5 minutes**

## **Section: Art Criticism**

**10.30-12.00 – Sessional Meeting I**

**Moderator: Maia Chichileishvili, Professor**

**1. Nino Chkhikvadze – Akhalsheni “Transfiguration” Church.**

Batumi Art State Teaching University. 2<sup>nd</sup> year of Bachelor’s Program in Art History and Theory (Art Criticism).

Scientific supervisor: Maia Chichileishvili, Professor.

**2. Onur Sarikaya – Georgian-Islam Architecture in Batumi.**

Mimar Sinan Fine Arts University, 4<sup>th</sup> year of Bachelor’s Program in History of Arts.

Scientific supervisor: Selcuk Seckin, Associate Professor.

**3. Mane Abrahamyan – The frescoes of The Cathedral of Saint George, Tbilisi.**

Yerevan State Academy of Fine Arts. 2<sup>nd</sup> year of Master's Program in Art History and Theory (Art Criticism).

Scientific supervisor: Zara Maloyan, Candidate of Psychology.

**12.30-14.00 – Sessional Meeting II**

**Moderator: Rati Chiburdanidze, Associate Professor**

**1. Lilit Tadevosyan – Peggy Guggenheim's collection in Venice.**

Yerevan State Academy of Fine Arts. 4<sup>th</sup> year of Bachelor’s Program in Painting.

Scientific supervisor: Elena Aidinyan, Senior Teacher.

**2. Lusine Hambardzumyan – “Clandestine” Abstractionism.**

Yerevan State Academy of Fine Arts; 4<sup>th</sup> year of Bachelor’s Program in Art History and Theory (Art Criticism).

Scientific supervisor: Elena Aidinyan, Senior Teacher.

**3. Giorgi Tchanidze – Anti-Art and Art Theory.**

Batumi Art State Teaching University. 3<sup>rd</sup> year of Bachelor’s Program in Art History and Theory (Art Criticism).

Scientific supervisor: Maia Chichileishvili, Professor.

## **Section: Theatre Studies, Cinema Studies, Music Studies**

### **10.30-12.00 – Sessional Meeting I**

